

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის  
ოქმი N6**

ქ. ლანჩხუთი

27. 12. 2017 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ელისო ჭიჭინაძე, საკრებულოს ეკონომიკის, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუცაღაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, პეტიციის და ინიციატივის ავტორები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: დავით გოგიჩაიშვილი, მინდია სალუქვაძე. მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდგომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს. მან სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი.

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შექმნის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ შექმნის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის ცნობად მიღების შესახებ.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ა. მახათაძე/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. გვარჯალაძე/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ჩახვამე/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ე. ჭიჭინაძე/*

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

11. პეტიციის სახით წარმოდგენილი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

*/მომხსენებელი დავით გოგიჩაიშვილი (პეტიციის ერთ-ერთი ინიციატორი)/*

12. პეტიციის სახით წარმოდგენილი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

*/მომხსენებელი დავით გოგიჩაიშვილი, მინდია სალუქვაძე (პეტიციების ინიციატორები)/*

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/*

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

16. სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შექმნის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული, რაც კანონთან შესაბამისობაშია.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ შექმნის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული, რაც კანონთან შესაბამისობაშია.

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა დადგენილება N49 (27.12.2017)

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა დადგენილება N50 (27.12.2017)**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა დადგენილება N51 (27.12.2017)**

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე ოჯახური პირობების გამო, საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს სხდომას, აქედან გამომდინარე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხს სხდომას წარუდგენს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ვერიკო კვიციანი.

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა დადგენილება N52 (27.12.2017)

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი დავით ჩხარტიშვილი.

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ელისო ჭიჭინაძემ.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 დეპუტატი.

მომხრე 29 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილების N53 (27.12.2017)

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

განათლება; კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; მმართველობა და თავდაცვა.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 2018 წლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების ნუსხაში ჩამოთვლილი პრიორიტეტები გაუგებრად არის კლასიფიცირებული, რომელთაგან არც ერთი არ არის შესრულებადი, რადგან ვერც ერთი დაიტერესებული ადამინი 2018 წლის ბოლოს ვერ მიხვდება რომელი პრიორიტეტი შესრულდა ან არ შესრულდა. პარტია ევროპული საქართველოს წევრები პრიორიტეტების დოკუმენტს ხმას არ მისცემს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 დეპუტატი.

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი; (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კახაბერ ასკურავა) თავი შეიკავა 1 დეპუტატმა; (ოსებ ჩხაიძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N115 (27.12.2017)

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს შემდეგ ქვეკატეგორიებს: შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას. ასევე ბიუჯეტი შედგენილია ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ითვალისწინებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათში შემავალი პროგრამების სტრუქტურას.

ამასთან, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების ფორმატი წარმოდგენილია პროგრამის მოსალოდნელი შედეგის და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც განაპირობებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებულობას. გარდა ამისა, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილია 2018-2021 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **8712.6** ათ. ლარის ოდენობით. მ. შ:

**გადასახადები - 1350.0 ათ. ლარი** -საშემოსავლო გადასახადი 450.0 ათ.ლარი- ქონების გადასახადი - 900.0 ათ. ლარი. მ.შ:- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 400.0 ათ. ლარი- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 10.0 ათ. ლარი;- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 50.0 ათ. ლარი- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -440.0 ათ. ლარი.

**გრანტები - 6458.6 ათ. ლარი-** გათანაბრებითი ტრანსფერი -6238.6 ათ. ლარი;- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -220.0 ათ. ლარი;

**სხვა შემოსავლები - 904.0 ათ. ლარი, მ. შ:-** შემოსავალი საკუთრებიდან - 160.0 ათ. ლარი- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 44.0 ათ. ლარი;- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 700.0 ათ. ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 8588.6 ათ. ლარი, მ. შ: შრომის ანაზღაურება -1560.0 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება -1351.0 ათ. ლარი;სუბსიდიები - 5297.0 ათ. ლარი;სოციალური უზრუნველყოფა - 364.6 ათ. ლარი; სხვა ხარჯები - 16.0 ათ. ლარი. წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 119.0 ათ. ლარს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები :  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 8757.6 ათ ლარს, მ. შ: ხარჯები 8588.6 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 164.0 ათ.ლარი. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრულია - 8757.6 ათ. ლარის ოდენობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლასა და გამწვანების სამუშაოების ჩატარებაზე, სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაწანწალა ძაღლებისგან გასუფთავებაზე მიიმართება 741.5 ათ. ლარი. გარე განათების გახარჯული ელექტროენერჯის ანაზღაურებაზე მიიმართება 160,0 ათ. ლარი, ამასთან გარე განათების მოვლა პატრონობის ხარჯზე მიიმართება 300,0 ათ. ათასი ლარი. საგარეო-ეკონომიკური კავშირურობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მიიმართება 135,0 ათ. ლარი. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები პროექტით გათვალისწინებულია 125,0 ათ. ლარი, 107.0 თანხა გაიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მომსახურებისათვის, რომელიც ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით და 18,0 საბიუჯეტო სახსრებით.

**სოციალური დაცვის პროგრამებისათვის** გათვალისწინებულია 510.1 ათ. ლარი. ქვეპროგრამების დაფინანსება განისაზღვრა დახმარების გაცემის დროებითი წესის შესაბამისად შემდეგ პროგრამებზე:

-სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-50,0 ათ.ლარი - მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა - 32,8 ათ. ლარი; ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსება- 10,0 ლარი; - მაღალმთიან სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა 5,5 ათ.ლარი, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა - 110,0 ათ. ლარი; - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა -10,0 ათ. ლარი; - სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა -51,0 ათ. ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 170,0 ათ. ლარი; - გამარჯვებულ ქალთა კლუბის სარეაბილიტაციო პროგრამა- 30,0 ათ ლარი - ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა 1,0 ათ.ლარი

**განათლების პროგრამები** - დაგეგმილია 2200,0 ათ. ლარით.  
პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.



კულტურის პროგრამები წარმოდგენილია 995,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება შემდეგზე: კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების და სოც. კულტურული ღონისძიებებზე.

სპორტული პროგრამებისათვის გათვალისწინებულია 740,0 ათ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება: სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლების დაფინანსებაზე.

2017 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 30,0 ათ. ლარით, ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად:

სარეზერვო ფონდის გამოყენება განისაზღვრება მხოლოდ იმ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის რომლებიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მასში არ არის ასახული სოფლის პროგრამები, ფაროსანას საბრძოლველად გათვალისწინებული თანხები, სასამართლო დავებისთვის გათვალისწინებული თანხები. ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლები დაგეგმილია 3 335 000 ლარით, რაც აბსურდული შესასრულებელია. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს, რომ იგი აღნიშნული ბიუჯეტით აპირებს თუ არა იმ პროგრამის შესრულებას რა დაპირებებიც მან მოსახლეობას აღუთქვა მისი მერობის კანდიდატობის პერიოდში.

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე უდიდესი სამუშაო იქნა გაწეული, რეალურად არის დაგეგმილი მისი თითოეული მუხლი, ხარჯვით ნაწილი შეიძლება იყოს აღსანიშნავი, რომ უფრო მეტის დაფინანსება გვინდოდა რაღაც მიმართულებებით, მაგრამ რაც საშუალება იყო ისე დაიგეგმა, შემოსავლების კუთხით იყო მცდელობა რაც შეიძლება დაბალ და რეალურ შემოსავლებზე ყოფილი დაგეგმილი, ვიდრე ხელოვნურად გაზრდილზე, ვინაიდან უმჯობესია ბიუჯეტი იყოს ზრდადი, ვიდრე კლებადი. ის დაპირებები, რომელიც მოსახლეობის მიმართ გაიცა, გზის პრობლემა არის წყლის თუ ა.შ, წარმოდგენილ ბიუჯეტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი; (ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, იოსებ ჩხაიძე)

მიღებულ იქნა დადგენილება N54 (27.12.2017)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 დეპუტატი.

მომხრე 29 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა განკარგულება N116 (27.12.2017)

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პეტიციის პროექტი სხდომას წარუდგინა პეტიციის ერთ-ერთმა ინიციატორმა დავით გოგიჩაიშვილმა. პეტიცია მოიცავს სამ საკითხს , 1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 14-ე მუხლი არეგულირებს გამგებლის/მერის წარმომადგენლის ანგარიშგების წესსა და პროცედურებს. მიგვაჩნია, რომ გამგებლის/მერის წარმომადგენლის ანგარიშვალდებულების არსებული წესი, პროცედურა არის ზოგადი და გამგებლის/მერის წარმომადგენლის საქმიანობის გაუმჯობესების, ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია, რომ გამგებლის/მერის წარმომადგენლის მიერ ანგარიშის მომზადება გახდეს სავალდებულო, ანგარიშის წარდგენის პერიოდი იყოს კონკრეტული.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ განმარტა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პეტიციაზე და მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი პეტიციის განხილვის მიზანშეწონილად მიიჩნევის თაობაზე, ვინაიდან, მერის წარმომადგენლები არ არიან თანამდებობის პირები შესაბამისად საკრებულო ვერ დაავალდებულებს მათ ანგარიშის წარდგენაზე, მერიის დებულებაში ნათლადაა გაწერილი მერის წარმომადგენლის ფუნქციები, ისინი ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში აბარებენ ანგარიშს მუნიციპალიტეტის მერს, აქედან გამომდინარე, პეტიციით წარმოდგენილი ეს საკითხი კომისიამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად განეხილა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პეტიციის განხილვის მიზანშეწონილობას.

მომხრე 29 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

**დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე:** პეტიციის სახით წარმოდგენილი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პეტიცია წარადგინა დავით გოგიჩაიშვილმა , ხოლო ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ინიციატივა, სხდომას გააცნო მინდია სალუქვაძემ.

პეტიციის საკითხი შეეხებოდა: საკრებულოს წევრის ანგარიშგების წესსა და პროცედურებს. საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულებების არსებული წესი/პროცედურა არის ზოგადი და საკრებულოს წევრის საქმიანობის გაუმჯობესების, ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, რომ საკრებულოს წევრის მიერ ანგარიშის მომზადება გახდეს სავალდებულო, ანგარიშის წარდგენის პერიოდი იყოს კონკრეტული, ასევე უნდა არსებობდეს ანგარიშის სტანდარტული ერთიანი ფორმა. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრის ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რითაც ამომრჩევლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მუდმივად ექნებათ შესაძლებლობა სისტემატიურად გაეცნონ საკრებულოს წევრის , როგორც გაწეული, ისე სამომავლოდ დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაციას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით საკრებულოს წევრი მოვალეა საკრებულოს თავმჯდომარის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად წელიწადში ერთხელ მაინც წარმოადგინოს ანგარიში, აქედან გამომდინარე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია წარმოდგენილი პეტიციის განხილვა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლობას.**

**მომხრე 29 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;**

პეტიციის შემდეგი საკითხი შეეხება : პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი და პროცედურები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, რაც ბუნებრივია საჭიროებს რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანას. აღნიშნული სისტემის ამოქმედებისათვის აუცილებელ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენისთვის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის/ აპლიკაციის არსებობა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** განმარტა, რომ მიმდინარეობს მერიის ვებ-გვერდის განახლების ტექნიკური სამუშაოები, სადაც მოხდება ღილაკის“დამატება სახელწოდებით „შექმენი პეტიცია“ რომელშიც ინტეგრირებული იქნება შესაბამისი აპლიკაცია, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პეტიციაზე მიზანშეუწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება რეგლამენტში.

შემდეგი პეტიცია შეეხებოდა ქალაქის ცენტრში საზოგადოებრივი საპირფარეშოს გაკეთებას.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ და მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გამოინახება ალტერნატიული ფართი საზოგადოებრივი საპირფარეშოს გასაკეთებლად.

ინიციატივის წარმდგენმა **მინდია სალუქვაძემ** აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დანერგოს სმს-ებით მოქალაქეთა ინფორმირების სისტემა, თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად. სმს-ების დაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი საკითხების შესახებ: საკრებულოს სხდომების, საკრებულოს კომისიების სხდომების, ბიუროს სხდომების, საკრებულოსგან არსებული საკონსულტაციო ორგანოს „დარბაზის“ სხდომების, ბიუჯეტის განხილვის, სოფლის პროგრამების მოსახლეობის ინფორმირებისთვის.

სმს-ების დაგზავნის მონაცემთა ბაზაში, რომელიც ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის მიერაა მომზადებული, ამჟამად 590 ჩანაწერია. ბაზაში არსებული გამომწერებთან გაფორმებულია ანკეტა-მემორანდუმი. სმს-ების დაგზავნის მონაცემთა ბაზა მორგებულია სოფლების სპეციფიკაზე და საშუალებას იძლევა დაგზავნა განხორციელდეს ერთ კონკრეტულ სოფელშიც. შესაძლებელია სისტემა გამოყენებულ იქნას : დეპუტატის შეხვედრების ორგანიზებისას, სოფლის ყრილობის ჩატარებისას, სოფლის პროგრამების შესამუშავებლად, ჩართულობის ცენტრში მოსახლეობის მოსაწვევად, კონკრეტული ნორმატიული აქტის პროექტის ლინკის გასავრცელებლად და ა.შ.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ დადგენილების მე-4 პუნქტში წერია, რომ საკრებულოს აპარატი უფლებამოსილია საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების და ა.შ სხდომების დღის წესრიგის შესახებ დაინტერესებულ პირებს გაუზიაროს სმს-ეს შეტყობინებები, რაც არ არის სწორი, მისი თქმით „უფლებამოსილია“ სიტყვა უნდა შეიცვალოს სიტყვით “ ვალდებულია“.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** განმარტა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. მისი თქმით, ვინაიდან ამ ბაზაში დარეგისტრირება ხდება ნებაყოფლობით , საკრებულოს აპარატი ვალდებული ვერ იქნება გააგზავნოს სმს-ეს შეტყობინებები.

ინიციატივის წარმომდგენმა **მინდია სალუქვაძემ** აღნიშნა, რომ შესაძლებელია ჩაიწეროს შემდეგი ფორმულირებით რეგისტრირებული პირის თანხმობის შემთხვევაში ვალდებულია გააგზავნოს სმს-შეტყობინება.რომლის გათვალისწინებითაც ეყარა ყენჭი წარმოდგენილ საკითხს.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.**

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა განკარგულება N117 (27.12.2017)**

**დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგინო ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2018 წელს დასაფინანსებელი პროექტების

შესწორებულ ვარიანტს: ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის რეაბილიტაცია; ჯურჯუყეთის, ლესის, შუხუთის, ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია; გვიმბალაურის, ღრმაღელის, ჩოჩხათის, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია; ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა; აკეთის, აცანის, მამათის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხებისა და ბეტონის ან ასფალტო საფარის მოწყობა; მრავალბინიანი სახლის სახურავების შეკეთება; ბავშვთა საფეხბურთო სკოლის რეაბილიტაცია.

დეპუტატი **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში კონკრეტულად რომელი ქუჩებზე იგეგმება სანიაღვრე არხების მოწყობა და რომელზე ქუჩებზე დაიგება ასფალტის საფარი.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ მომზადებულია ვაჟა-ფშაველას, მშვიდობის და ბაგრატიონის ქუჩის პროექტი, გათვალისწინებულია 731 000 ლარი, რომელითაც მოეწყობა სანიაღვრე არხები, მოსამზადებელია 567 000 ლარის პროექტი, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდება შესაბამისი ქუჩების ასფალტის საფარის დასაგებად.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები არის გადასახედი და შესაცვლელი. ვინაიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების კუთხით სავალალო მდგომარეობაა. მან მოიყვანა, ჯურჯუყეთის, ჩოჩხათის, აკეთის, მამათის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების მაგალითი.

დეპუტატი **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა წარმოდგენილ განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებში რატომ არ არის ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭყონაგორაში გზის მონაკვეთი, სადაც წვიმიან ამინდში დაახლოებით 8 მოსახლე იტბორება.

დეპუტატი **ზაზა წულაძე** დაეთანხმა მის წინ გამომსვლელს და აღნიშნა, რომ ეს საკითხი მისი ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად მუშაობის დროს არაერთხელ გააჟღერა, მაგრამ სამწუხაროდ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტს საქართველოს გზების დეპარტამენტიდან ჩამოყვანილ ჰყავდა ექსპერტთა და დამპროექტებელთა ჯგუფი, რომელთა მოსაზრებით აუცილებელია გადაიკვეთოს და გაიჭრას ერთ ადგილზე ცენტრალური მაგისტრალი, რაც ბუნებრივია იოლი საქმე არ გახლდათ.

დეპუტატმა **კახა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ ჟორდანის ქუჩის ტროტუარით (სკოლიდან გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულამდე) სარგებლობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მასზე ქვეითის გავლა არის საფრთხის შემცველი. მისი თქმით, მანამ სანამ უბედური შემთხვევა არ მომხდარა ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ სამედიცინო ცენტრ „ჯამრთელობას“ წინ დაზიანებულია საფარი და წვიმიან ამინდში პაციენტებისთვის მისასვლელი გზა ფაქტობრივად იტბორება, მან წინა მოწვევის საკრებულოში არაერთხელ გააჟღერა აღნიშნული საკითხი, მაგრამ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა განკარგულება N118 (27.12.2017)**

**დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების პაკეტი, რომელიც მოიცავს 16 პროგრამას . ესენია : მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში , უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „ გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-ის სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა, ძუძუს კიბოს ნაოპერაციევი ქალბატონებისათვის; ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა; ერთჯერადი სოციალური(ფულადი) დახმარების პროგრამა; მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. იმისათვის, რომ ზემოთ აღნიშნული პროგრამების გაცემის წესი იქნას მიღებული აუცილებელია ნორმატიული აქტის მიღება, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია საკითხის მიმართ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;  
მიღებულ იქნა განკარგულება N119 (27.12.2017)**

**დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა თერთმეტი პროგრამა, რომელშიც განსასაზღვრია მათი გაცემის წესის მიღება. საკითხი განხილულ იქნება საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ. მიზანშეწონილია წარმოდგენილ საკითხზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

**საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი; მიღებულ იქნა განკარგულება N120 (27.12.2017)**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ აცნობა დეპუტატებს, რომ საკრებულოს ფრაქცია“ ქართული ოცნება“ დემოკრატიულ საქართველოს დაემატა წევრები: რევაზ კვერენჩილაძე, თორნიკე ტიკაძე, ოთარ პატიშვილი, გიორგი გვარჯალაძე, ზაზა წულაძე, ცისანა ურუშაძე, გიორგი ჩახვაძე, დავით ჩხარტიშვილი, ზურაბ კუკულავა, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე.

სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ სხვადასხვას დასრულების შემდეგ სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცემა მოქალაქე ლია მუხაშვილას, რომელმაც ამისთვის განცხადებით მიმართა საკრებულოს.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთული იყო შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საბავშვო ბაღის და სკოლის ფოტოები, სადაც კომპანია „სილ როუდ ჯგუფმა“ ( ჩინური კომპანია, რომელიც აწარმოებს ავტომაგისტრალის ერთ-ერთი გზის მონაკვეთის მშენებლობას) საჩუქრები მიუტანა აღსაზრდელებს, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. ეს ის კომპანიაა, რომლის ტექნიკურმა გაუმართავმა ავტომობილმა სოფელ ქვიანში 20 დეკემბერს იმსხვერპლა 15 წლის მოზარდი. საჩუქრების დარიგება კი კომპანიამ 22 დეკემბერს გადაწყვიტა. მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პირიქით კითხვები უნდა ჰქონდეს აღნიშნული



კომპანიის მიმართ არა თუ ტრაგედიიდან მეორე დღეს იმ კომპანიის წარმომადგენლებთან მივიდნენ სასწავლო დაწესებულებებში. იგი იმედოვნებს რომ არც ქალაქის მერმა და არც საკრებულოს თავმჯდომარემ არ იცოდა რომელი კომპანიის დაგეგმილ აქციაზე მიდიოდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ეს განცხადება არის ყოველგვარ ზღვრას გასული. ამ დიდი ტრაგედიის გაიგივება რაიმე სახის პოლიტიკასთან ელემენტარულად არის უპასუხისმგებლო საქციელი და მოუწოდა დეპუტატებს თავი შეიკავონ მსგავსი განცხადებების გაკეთებისგან.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც შეიტყვეს ამ ტრაგედიის ამბავი იმწუთას მუნიციპალიტეტის მერმა .საკრებულოს თავმჯდომარემ და მან მიატოვეს ღონისძიება და გაემართნენ ავერსის კლინიკაში

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის სამარცხვინო და უპასუხისმგებლო განცხადება, მას ცხვენია იმ დარბაზში ჰყოფნა, სადაც ამ განმცხადებლის ავტორი ზის, ერთი რაიონის მკვიდრებმა ერთმანეთს ესეთი სამარცხვინო ბრალდება არ უნდა წაუყენონ და უდიდესი ტრაგედია, რომელიც ყველას შეეხო, ეს უსირცხვილოდ მანიპულირებისთვის არ გამოიყენოს. მისი თქმით, ეს სულ სხვა კომპანია იყო მათ ავტომობილით უბედური შემთხვევა არ მომხდარა და თანაც საჩუქრების დარიგა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ათი დღით ადრე ჰქონდა შეთანხმებული.

დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ ავტომანქანაზე მომუშავე ავტომობილებისთვის უნდა განმკაცრდეს ტექნიკური დათვალეობაზე კონტროლი, ვინაიდან ისინი მოძრაობენ ცენტრალურ მაგისტრალზე ზედმეტი ტვირთით და სფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერ დიდი მშენებლოს პროექტს დათმობილი აქვს პუნქტი „გარემოზე ზემოქმედების თავი“, რომელიც გულისხმობს არა მარტო გარემოზე, არამედ მოსახლეობაზე ზემოქმედებას, უმჯობესია ჩავიხედოთ ამ პროექტის აღნიშნულ პუნქტში და ვაიძულოთ კომპანიებს ამ პუნქტების დაცვას. აუცილებელია ასევე პატრულმა გააკონტროლოს კომპანიებს ტვირთები, რომელიც დასაშვებზე მეტად გადაჭარბებული გადააქვთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი და თავად ის თვეების განმავლობაში დადიოდნენ და ავტომანქანის მშენებლობასთან დაკავშირებით უსაფრთხოების მიმართულებებზე უშუალოდ ადგილზე გათენებიდან დადამებამდე მუშაობდნენ. იგი დაინტერესდა მათ გარდა მაშინ რატომ არავინ არ მონაწილეობდა აღნიშნულ პროცესში და ეხლა, რომ გამოდიან და უსირცხვილოდ საუბრობენ.

მოქალაქე ლია მუხაშაგრიამ ვრცლად ისაუბრა შუხუთში წლების განმავლობაში ტრადიციად ქცეულ ლელო ბურთზე, რომელსაც უდიდესი ტურისტული პოტენციალი აქვს, და სწორი ინფრასტრუქტურის, დაგემის შემთხვევაში რა სიკეთის მოტანა შეუძლია არა მარტო შუხუთისთვის, არამედ მუნიციპალიტეტისთვის. მისი თქმით თუ შემხვედრი ნაბიჯი გადმოიდგმება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რაგაც მინიმალური თანხა გათვალისწინებული იქნება ამ მიმართულებით, ის ყველა საელჩოს ჩამოივლის და მისწერს, აღნიშნული პროექტის დაფინანსების თაობაზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

